ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

მიმართულება გამოყენებითი მათემატიკა

მაღალი რიგის თითქმის წრფივი ფუნქციონალურ-დიფერენციალური განტოლებები A და B თვისებებით

მაგისტრი

მაია ბობოხიძე

სამაგისტრო ნაშრომი

ხელმძღვანელი: რომან კოპლატაძე

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა

ფაკულტეტის პროფესორი

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი

თბილისი 2015

სარჩევი

ა ნ ო ტ ა ც ი ა

ნაშრომში შესწავლილია შემდეგი სახის ფუნქციონალურ-დიფერენციალურ განტოლების

$$u^{(n)}(t) + F(u)(t) = 0$$

ასიმპტოტური ყოფაქცევა, სადაც $n \geq 2$ და $F: C(R_+; R) \rightarrow L_{loc}(R_+; R)$ არის უწყვეტი ასახვა. კერძოდ დადგენილია საკმარისი პირობები იმისა, რომ მოცემულ განტოლებას გააჩნდეს A ან B თვისება (იხ. განმარტება ქვემოთ). იმ შემთხვევაში, როცა გვაქვს ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებები. მიღებული შედეგები წარმოადგენს კონდრატიევის, ჭანტურიას და კოპლატაძის ზოგიერთი შედეგის განზოგადოებას.

Abstract

We study asymptotic behavior of solutions of a functional differential equation

$$u^{(n)}(t) + F(u)(t) = 0$$

where ≥ 2 , $F: C(R_+; R) \rightarrow L_{loc}(R_+; R)$ is a continuous mapping. Sufficient conditions for the equation to have the so-called Property A and B are established. In the case of ordinary differential equation the oblained results lead to an generalization of the well-known theorems by Kondrat'ev, Chanturia and Koplatade.

1. შესავალი

ვთქვათ $\tau \in C(R_+; R_+)$, $\lim\limits_{t\to\infty} \tau(t) = +\infty$. $V(\tau)$-თი აღვნიშნოთ სიმრავლე ყველა უწყვეტი ასახვებისა $F: C(R_+; R) \to L_{loc}(R_+; R)$, რომლებიც აკმაყოფილებენ პირობას: $F(x)(t) = F(y)(t)$, ნებისმიერი $t \in R_+$-თვის და $x, y \in C(R_+; R)$, როცა $x(s) = y(s)$, $s \geq \tau(t)$.

მოცემული ნაშრომი ეძღვნება შემდეგი სახის დიფერენციალური განტოლების

$$u^{(n)}(t) + F(u)(t) = 0 \tag{1.1}$$

ამონახსნების ოსცილაციური თისებების შესწავლას, სადაც $n \geq 2$ და $F \in V(\tau)$.

ნებისმიერი $t_0 \in R_+$, $H_{t_0,\tau}$-თი აღვნიშნოთ სიმრავლე იმ $u \in C(R_+; R_+)$ ფუნქციებისა, რომლებიც აკმაყოფილებენ პირობას

$$u(t) \neq 0 \ \text{ როცა } \ t \geq t_* , \ \text{ სადაც } \ t_* = \min\{t_0, \tau_*(t_0)\} , \ \ \tau_*(t) = \inf\{\tau(s); s \geq t\}.$$

მოცემულ შრომაში ყველგან $V(\tau)$ და $H_{t_0,\tau}$ გამოიყენება მხოლოდ ზემოთ მოცემულ აღნიშვნებში, სადაც τ აკმაყოფილებს ზემოთ მოცემულ პირობებს.

ყველგან იგულისხმება, რომ სრულდება ერთ-ერთი შემდეგი ორი პირობიდან

$$F(u)(t)\, u(t) \geq 0 \quad \text{როცა} \quad t \geq t_0, \quad U \in H_{t_0,\tau} , \tag{1.2}$$

ან

$$F(u)(t)\, u(t) \leq 0 \quad \text{როცა} \quad t \geq t_0, \quad U \in H_{t_0,\tau} . \tag{1.3}$$

ვთქვათ $t_0 \in R_+$. ფუნქციას $u: [t_0, +\infty) \to R$ ვუწოდებთ (1.1) განტოლების წესიერ ამონახსნს, თუ იგი აბსოლუტურად უწყვეტია $[t_0, +\infty)$ -ის ყოველ სასრულ შუალედში თავის

წარმოებულებთან ერთად $n-1$ რიგის ჩათვლით. $\sup\{|u(s)|: s \geq t\} > 0$, როცა $t \geq t_0$ და არსებობს ფუნქცია $\bar{u} \in C(R_+; R)$ ისეთი, რომ $\bar{u}(t) \equiv u(t)$ როცა $t \geq t_0$ და ტოლობა $\bar{u}^n(t) + F(\bar{u})(t) = 0$ სრულდება თითქმის ყველგან $[t_0, +\infty)$-ზე.

განმარტება 1.1. (1.1) განტოლების წესიერ ამონახსნს $u: [t_0, +\infty) \to R$ ვუწოდებთ რხევადს, თუ არსებობს u ფუნქციის ნულების მიმდევრობა კრებადი $+\infty$ -სკენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ამონახსნს ეწოდება არარხევადი.

განმარტება 1.2. ვიტყვით, რომ (1.1) განტოლებას გააჩნია A თვისება, თუ მისი ყოველი წესიერი ამონახსნი ლუწი n-ის შემთხვევაში ან რხევადია ან აკმაყოფილებს პირობას

$$|u^{(i)}(t)| \downarrow 0\,, \quad \text{როცა} \quad t \uparrow +\infty \quad (i = 0, \dots, n-1). \tag{1.4}$$

განმარტება 1.3. ვიტყვით, რომ 1.1 განტოლებას გააჩნია B თვისება, თუ მისი ყოველი წესიერი ამონახსნი ლუწი n ის შემთხვევაში რხევადია, ხოლო კენთი ნ ის შემთხვევაში ან რხევადია ან აკმაყოფილებს (1.4) პირობას ან

$$\left|u^{(i)}(t)\right| \uparrow +\infty\,, \quad \text{როცა} \quad t \uparrow +\infty \quad (i = 0, \dots, n-1), \tag{1.5}$$

ხოლო კენტი n-ის შემთხვევაში ან რხევადია ნ აკმაყოფილებს (1.5) პირობას.

ოსცილაციური თვისების შესწავლას ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლების შემთხვევაში დიდი ხნის ისტორია აქვს. ჯერ კიდევ კნეზერის მიერ [1] დაისვა შემდეგი ამოცანა: რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს p ფუნქცია, რომ

$$u^{(n)}(t) + P(t)\, u(t) = 0 \tag{1.6}$$

განტოლებას გააჩნდეს იგივე ტიპის ამონახსნები, როგორიც გააჩნია $u^{(n)} + u = 0$ და $u^{(n)} - u = 0$ განტოლებებს. მოგვიანებით ეს თვისებები ჩამოყალიბდა A და B თვისების სახით [1.2]. გამოიყენა რა კნეზერმა შტურმის თეორემა, მან დაამტკიცა, რომ თუ

$$\liminf_{t \to +\infty} \; t^2\, p(t) > \tfrac{1}{4}\ , \tag{1.7}$$

მაშინ

$$u''(t) + P(t)\, u(t) = 0 \tag{1.8}$$

განტოლების ყოველი ამონახსნი რხევადია (ე.ი. გააჩნია A თვისება).

აღსანიშნავია, რომ (1.7) უტოლობა არ შეიძლება შეიცვალოს არამკაცრი უტოლობით. ეს შედეგი (1.8) განტოლების შემთხვევაში განზოგადებული იქნა მრავალი ავტორის მიერ (იხ. მ. რაბის მიმოხილვითი შრომა [3]).

რადგან მაღალი რიგის წრფივი დიფერენციალური განტოლების შემთხვევაში შტურმის თეორემის ანალოგი არ არის სამართლიანი, ამიტომ მაღალი რიგის განტოლების ამონახსნების

ოსცილაციური თვისებების შესწავლა გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. კნეზერმა აჩვენა, რომ თუ

$$\liminf_{t\to+\infty} t^{\frac{n}{2}} p(t) > 0,$$

მაშინ (1.6) განტოლებას გააჩნია A თვისება [1]. კნეზერის ამ შედეგის შემდეგ არსებითი შედეგი მიღებულ იყო კონდრატიევის მიერ. კერძოდ, მის მიერ დამტკიცებული იყო შემდეგი თეორემა: თუ სრულდება უტოლობა $p(t) \geq q(t) \geq 0$ როცა $t \in R_+$ და

$$u^{(n)}(t) + q(t)u(t) = 0 \qquad (1.9)$$

განტოლებას გააჩნია A თვისება, მაშინ (1.6) განტოლებასაც გააჩნია A თვისება .

მოგვიანებით ჭანტურიას მიერ [4] დამტკიცებული იყო შემდეგი თეორემა:

ვთქვათ სრულდება უტოლობა $p(t) \leq q(t) \leq 0$ როცა $t \in R_+$ და (1.9) განტოლებას გააჩნია B თვისება, მაშინ (1.6) განტოლებასაც გააჩნია B თვისება. შედარების ამ თეორემებზე დაყრდნობით მათ მიერ მიღებულ იქნა შემდეგი სახის ეფექტური პირობები: ვთქვათ $p(t) \geq 0$ $(p(t) \leq 0)$ და

$$\liminf_{t\to+\infty} t^n |p(t)| > M_n \qquad (M_n^*), \qquad (1.10)$$

მაშინ (1.6) განტოლებას გააჩნია A (B) თვისება, სადაც

$$M_n = \max\{-\lambda(\lambda-1), \dots, (\lambda-n+1) : \lambda \in [0, n-1]\},$$

$$M_n^* = \max\{\lambda(\lambda-1), \dots, (\lambda-n+1) : \lambda \in [0, n-1]\}.$$

აღსანიშნავია, რომ (1.10) პირობა არ შეიძლება შეიცვალოს არამკაცრი უტოლობით. წინააღმდეგ შემთხვევაში არსებობს ისეთი p ფუნქცია, რომ სრულდება უტოლობა

$$\liminf_{t\to+\infty} t^n |p(t)| \geq M_n \quad (M_n^*).$$

მაგრამ, (1.6) განტოლებას არ გააჩნია A (B) თვისება.

მოგვიანებით ჭანტურიას მიერ დამტკიცებული იქნა ინტეგრალური შედარების თეორემა, რამაც მას მისცა საშუალება მიეღო შემდეგი სახის ეფექტური პირობები იმისა, რომ (1.6) განტოლებას გააჩნდეს A (B) თვისება [4]. ვთქვათ $p(t) \geq 0$ $(p(t) \leq 0)$ და სრულდება პირობები

$$\liminf_{t\to+\infty} t \int_t^{+\infty} s^{n-2} p(s)ds > M_n ,$$

$$\liminf_{t\to+\infty} t^2 \int_t^{+\infty} s^{n-2} p(s)ds > \frac{M_n^*}{2} , \qquad (1.11)$$

მაშინ (1.6) განტოლებას გააჩნია A(B) თვისება.

კოპლატაძის მიერ [5] დამტკიცებული იქნა ორი ტიპის ინტეგრალური შედარების თეორემები დაგვიანებულ არგუმენტიანი დიფერენციალური განტოლებისათვის, რომელიც (1.6) განტოლების შემთხვევაში საშუალებას იძლევა (1.11) პირობის დაზუსტებას.

კერძოდ, თუ $p(t) \leq 0$ და სრულდება უტოლობა

$$\liminf_{t \to \infty} t \int_t^{+\infty} s^{n-2} p(s) ds > M_n^*,$$

მაშინ (1.6) განტოლებას გააჩნია B თვისება [5].

მოცემულ სადიპლომო შრომაში მოყვანილი იქნება საკმარისი პირობები იმისა, რომ (1.1) განტოლებას გააჩნდეს A ან B თვისება.

2. ზოგიერთი დამხმარე ლემა

მოცემულ პარაგრაფში ჩვენ მოვიყვანთ მონოტონური და არამონოტონური ფუნქციების ზოგიერთ თვისებებს. ქვემოთ, ყველგან $\tilde{C}_{loc}^{n-1}([t_0;\ +\infty])$-ით აღვნიშნავთ იმ $u: [t_0;\ +\infty) \to R$ ფუნქციათა სიმრავლეს, რომლებიც აბსოლუტურად უწყვეტია თავის წარმოებულებთან ერთად $n-1$ რიგის ჩათვლით ყოველ $[t_0;\ +\infty)$ ინტერვალის სასრულ სეგმენტზე.

ლემა 2.1. ვთქვათ $u \in \tilde{C}_{\mathrm{loc}}^{n-1}([t_0;\ +\infty])$, $u(t) > 0, u^n(t) \leq 0$ $(u^n(t) \geq 0)$, როცა $t \geq t_0$, და $u^{(n)}(t) \neq 0$, $+\infty$-ის ნებისმიერ მიდამოში. მაშინ არსებობს ისეთი $t_* \geq t_0$ და $l \in \{0, \dots, n\}$, რომ $l+n$ კენტია ($l+n$ ლუწია) და

$$u^{(i)}(t) > 0 \quad \text{როცა} \quad t \geq t_* \quad (i = 0, \dots, l-1),$$

$$(-1)^{i+l} u^{(i)}(t) > 0 \quad \text{როცა} \quad t \geq t_* \quad (i = l, \dots, n-1), \tag{2.1$_l$}$$

$$u^{(n)}(t) \leq 0 \quad (u^{(n)}(t) \geq 0) \quad \text{როცა} \quad t \geq t_*.$$

შენიშვნა 2.1. თუ $l = 0$, (2.1_l) პირობებში იგულისხმება, რომ სრულდება მეორე და მესამე პირობები.

დამტკიცება. ვთქვათ სრულდება პირობები $u(t) > 0$ და $u^n(t) \leq 0$ (ანალოგიურად მტკიცდება შემთხვევა, როცა $u^n(t) \geq 0$), როცა $t \geq t_0$. რადგან $u^n(t) \leq 0$ და $u^{(n)}(t) \neq 0$ როცა $t \geq t_0$, ამიტომ მოიძებნება ისეთი $t_1 \geq t_0$, რომ სრულდება ერთ-ერთი შემდეგი ორი პირობიდან:

$$u^{(n-1)}(t)>0 \quad \text{როცა} \quad t \geq t_1 \tag{2.2}$$

ან

$$u^{(n-1)}(t)<0 \quad \text{როცა} \quad t \geq t_1 \ . \tag{2.3}$$

ვთქვათ სრულდება (2.2) პირობა, მაშინ (2.2)-ის თანახმად მოიძებნება ისეთი $t_2 \geq t_1$, რომ $u^{(n-2)}(t)>0$ ან $u^{(n-2)}(t)<0$ როცა $t \geq t_2$.

ვთქვათ სრულდება პირველი პირობა, მაშინ (2.2)-ის თანახმად გვაქვს

$$u^{(n-3)}(t)=u^{(n-3)}(t_2)+\int\limits_{t_2}^{t} u^{n-2}(s)ds \geq u^{(n-3)}(t_0)+u^{(n-2)}(t_2)(t-t_2) \to +\infty$$

როცა $t \to +\infty$. მაშასადამე, საკმარისად დიდი t-სთვის გვაქვს $u^{(n-3)}(t)>0$.

თუ გავაგრძელებთ ანალოგიურ მსჯელობას, მივიღებთ, რომ საკმარისად დიდი t-ებისათვის $u^{(i)}(t)>0 \quad (i=1,\dots,n-1)$. ამ შემთხვევაში $l=n-1$, რაც ამტკიცებს ლემის სამართლიანობას.

ახლა დავუშვათ სრულდება (2.3) პირობა, მაშინ საკმარისად დიდი t-თვის გვაქვს $u^{(n-2)}(t)>0$ ან $u^{(n-2)}(t)<0$. ვთქვათ სრულდება მეორე პირობა, მაშინ (2.3)-ის თანახმად გვექნება

$$u^{(n-3)}(t)=u^{(n-2)}(t_3)+\int\limits_{t_3}^{t} u^{n-2}(s)ds \geq u^{(n-3)}(t_0)+u^{(n-2)}(t_3)(t-t_3) \to +\infty$$

როცა $t \to +\infty$, სადაც t_3 საკმარისად დიდი რიცხვია. თუ გავაგრძელებთ ანალოგიურ მსჯელობას, მივიღებთ, რომ საკმარისად დიდი t-სათვის $u(t)<0$, რაც ეწინააღმდეგება მოცემულობას. მაშასადამე $u^{(n-2)}(t)>0$. თუ გავაგრძელებთ ზემოთ მოყვანილ მსჯელობას, მარტივად დავადგენთ ისეთი $l \in \{0,\dots,n-1\}$ არსებობას, რომ $l+n$ კენტია და სრულდება (2.1_l) პირობა.

ლემა 2.2. ვთქვათ $t_0 \in [0;+\infty)$, $u \in \tilde{C}_{loc}^{n-1}([t_0;+\infty])$ და სრულდება (2.1_l) პირობები, რომელიმე $l \in \{1,\dots,n-1\}$, სადაც $l+n$ კენტია (ლუწია). მაშინ

$$\int_{t_0}^{+\infty} t^{n-l-1}\left|u^{(n)}(t)\right|dt<+\infty, \tag{2.4}$$

$$\lim_{t\to\infty}\frac{1}{t}\int_{t_0}^{t} s^{n-l}\left|u^{(n)}(s)\right|ds=0, \tag{2.5}$$

$$\int_{t_0}^{+\infty} t^{-2} \int_{t_0}^{t} s^{n-l} \left|u^{(n)}(s)\right| ds dt < +\infty, \tag{2.6}$$

$$u^{(i)}(t) \geq u^{(i)}(t_0) + \frac{1}{(l-i-1)!\,(n-l-1)!} \int_{t_0}^{t} (t-s)^{l-i-1} \int_{s}^{+\infty} (\xi - s)^{n-l-1} \left|u^{(n)}(\xi)\right| d\xi ds$$

$$(i = 0, \dots, l-1). \tag{2.7}$$

გარდა ამისა, თუ

$$\int_{t_0}^{+\infty} t^{n-l} \left|u^{(n)}(t)\right| dt = +\infty, \tag{2.8}$$

მაშინ არსებობს ისეთი $t_* > t_0$, რომ

$$u(t) \geq \frac{t^{l-1}}{l!} u^{(l-1)}(t) \quad \text{როცა} \quad t \geq t_*, \tag{2.9}$$

$$\lim_{t\to\infty} \left(u^{(l-1)}(t) - t u^{(l)}(t)\right) = +\infty \tag{2.10}$$

$$\frac{u^{(i)}(t)}{t^{l-i}} \downarrow, \quad \frac{u^{(i)}(t)}{t^{l-i-1}} \uparrow, \quad (i = 0, \dots, l-1). \tag{2.11_l}$$

დამტკიცება. (2.1_l) პირობის თანახმად ცხადია, რომ:

$$\sum_{j=i}^{k-1} \frac{(-1)^j t^{j-i} u^{(j)}(t)}{(j-i)!} = \sum_{j=i}^{k-1} \frac{(-1)^j t_0^{j-i} u^{(i)}(t_0)}{(j-i)!} + \frac{(-1)^{k-1}}{(k-i-1)!} \int_{t_0}^{t} s^{k-i-1} \left|u^{(k)}(s)\right| ds. \tag{2.12_{ik}}$$

აღვნიშნოთ:

$$\Psi(t) = \sum_{j=i}^{k-1} \frac{(-1)^j t^{j-i} u^{(j)}(t)}{(j-i)!},$$

$$\Phi(t) = \sum_{j=i}^{k-1} \frac{(-1)^j t_0^{j-i} u^{(i)}(t_0)}{(j-i)!} + \frac{(-1)^{k-1}}{(k-i-1)!} \int_{t_0}^{t} s^{k-i-1} \left|u^{(k)}(s)\right| ds.$$

ცხადია, რომ $\Psi(t_0) = \Phi(t_0)$ და

$$\Phi'(t) = \frac{(-1)^{k-1}}{(k-i-1)!} t^{k-i-1} u^{(k)}(t). \tag{2.13}$$

ვაჩვენოთ, რომ

$$\Psi'(t) = \frac{(-1)^{k-1}}{(k-i-1)!} t^{k-i-1} u^{(k)}(t). \tag{2.14}$$

მართლაც გვაქვს

$$\Psi'(t) = \left(\sum_{j=i}^{k-1} \frac{(-1)^j t^{j-i} u^{(j)}(t)}{(j-i)!} \right)' = \left((-1)^j u^{(i)}(t) + \sum_{j=i+1}^{k-1} \frac{(-1)^j t^{j-i} u^{(j)}(t)}{(j-i)!} \right)' =$$
$$= (-1)^j u^{(i+1)}(t) + \sum_{j=i+1}^{k-1} \frac{(-1)^j t^{j-i-1} u^{(j)}(t)}{(j-i-1)!} + \sum_{j=i+1}^{k-1} \frac{(-1)^j t^{j-i} u^{(j+1)}(t)}{(j-i)!}$$

უკანასკნელ ჯამში თუ მოვახდენთ გარდაქმნას $j+1=l$, მივიღებთ

$$\Psi'(t) = (-1)^i u^{(i+1)}(t) + \sum_{j=i+1}^{k-1} \frac{(-1)^j t^{j-i-1} u^{(j)}(t)}{(j-i-1)!} + \sum_{l=i+2}^{k} \frac{(-1)^{l-1} t^{l-i-1} u^{(l)}(t)}{(l-i-1)!} =$$

$$= (-1)^i u^{(i+1)}(t) + \sum_{j=i+1}^{k-1} \frac{(-1)^j t^{j-i-1} u^{(j)}(t)}{(j-i-1)!} + \sum_{l=i+1}^{k-1} \frac{(-1)^{l-1} t^{l-i-1} u^{(l)}(t)}{(l-i-1)!} - (-1)^i u^{(i+1)}(t)$$
$$+ \frac{(-1)^{k-1} t^{k-i-1}}{(k-i-1)!} u^{(k)}(t) = \frac{(-1)^{k-1} t^{k-i-1}}{(k-i-1)!} u^{(k)}(t).$$

მაშასადამე, სრულდება (2.14) პირობა. ამიტომ (2.13) და (2.14) პირობიდან გამომდინარეობს (2.12_{ik}) ტოლობის სამართლიანობა.

თუ (2.11_{ln}) გავამრავლებთ $(-1)^{l-1}$-ზე და გავითვალისწინებთ (2.1_l) , გვექნება

$$\frac{1}{(n-l-1)!} \int_{t_0}^{t} s^{n-l-1} |u^{(n)}(s)| ds \le \sum_{k=0}^{n-1} \frac{t_0^{j-l} |u^{(j)}(t_0)|}{(j-1)!}.$$

მაშასადამე, სრულდება (2.4) პირობა.

ვთქვათ, $\varepsilon > 0$ ნებისმიერი დადებითი რიცხვია. (2.4)-ის თანახმად, შევარჩიოთ $T > t_0$ ისე, რომ

$$\int_T^{+\infty} s^{n-l-1} \left| u^{(n)}(s) \right| ds < \varepsilon.$$

ამიტომ მივიღებთ

$$\limsup_{t\to+\infty}\frac{1}{t}\int_0^t s^{n-l}\left|u^{(n)}(s)\right|ds=\limsup_{t\to+\infty}\left(\frac{1}{t}\int_0^T s^{n-l}\left|u^{(n)}(s)\right|ds+\frac{1}{t}\int_T^t s^{n-l}\left|u^{(n)}(s)\right|ds\right)$$

$$\le\limsup_{t\to+\infty}\frac{1}{t}\int_0^T s^{n-l}\left|u^{(n)}(s)\right|ds+\limsup_{t\to+\infty}\frac{1}{t}\int_T^t s^{n-l}\left|u^{(n)}(s)\right|ds\le$$

$$\le\limsup_{t\to+\infty}\int_T^t s^{n-l-1}|u^n(s)|ds=\int_T^{+\infty} s^{n-l-1}|u^n(s)|ds<\varepsilon\,.$$

რადგან ε ნებისმიერი დადებითი რიცხვია, ამიტომ უკანასკნელი ტოლობიდან გამომდინარეობს (2.5) პირობის სამართლიანობა.

(2.12_{ik})-ის ანალოგიურად შეგვიძლია ვაჩვენოთ შემდეგი ტოლობის სამართლიანობა

$$u^{(i)}(t)=\sum_{j=i}^{k-1}\frac{u^{(i)}(s)}{(j-i)!}(t-s)^{j-i}+\frac{1}{(k-i-1)!}\int_s^t(t-\xi)^{k-i-1}u^{(k)}(\xi)d\xi\,. \qquad (2.15_{ik})$$

(2.15_{in}) ტოლობაში თუ გადავალთ ზღვარზე როცა $s\to\infty$ და გავითვალისწინებთ

(2.1_l) მივიღებთ

$$\left|u^{(i)}(t)\right|\ge\frac{1}{(n-l-1)!}\int_t^{+\infty}(s-t)^{n-i-1}\left|u^{(n)}(s)\right|ds,\quad t>t_0\quad(i=l,\dots,n-1)\,. \quad (2.16_i)$$

ანალოგიურად (2.15_{il}) -დან, როცა $s=t_0$, გვაქვს

$$\left|u^{(i)}(t)\right|\ge u^{(i)}(t_0)+\frac{1}{(l-i-1)!}\int_{t_0}^t(t-\xi)^{l-i-1}\left|u^{(l)}(\xi)\right|d\xi\quad \text{როცა}\ t\ge t_0.$$

ამრიგად (2.16_i) -ის თანახმად მივიღებთ (2.7) უტოლობას.

ვიგულისხმოთ ახლა, რომ სრულდება (2.8) პირობა. თუ ვისარგებლებთ (2.1_l) პირობით, $\left(2.12_{l-1;n}\right)$-დან მივიღებთ

$$u^{(l-1)}(t)-tu^{(l)}(t)=$$

$$=\sum_{j=l-1}^{n-1}\frac{t^{j-l+1}}{(j-l+1)!}\left|u^{(j)}(t)\right|+\sum_{j=l-1}^{n-1}\frac{(-1)^{j+l-1}t_0^{j-l+1}}{(j-l+1)!}\left|u^{(j)}(t_0)\right|\frac{1}{(n-l)!}\int_{t_0}^t s^{n-l}|u^{(n)}(s)|ds.$$

ამრიგად, უანასკნელი ტოლობიდან (2.8)-ის თანახმად გვაქვს (2.9) უტოლობა.

ნებისმიერი $t\ge t_0$ და $i\in\{1,\dots,l\}$ -თვის აღვნიშნოთ

$$\gamma_i(t) = iu^{(l-1)}(t) - tu^{(l-i+1)}(t) = -t^{i+1}(t^{-i}u^{(l-1)}(t))' \,, \tag{2.17}$$

$$r_i(t) = tu^{(l-i+1)}(t) - (i-1)u^{(l-i)}(t) = t^i(t^{1-i}u^{(l-i)}(t))' \;. \tag{2.18}$$

(2.10)-ის თანახმად, თუ გამოვიყენებთ ლოპიტალის წესს, გვაქვს

$$\lim_{t\to+\infty}\frac{u^{(l-i)}(t)}{t^{i-1}} = +\infty \quad (i = 1, \dots, l) \tag{2.19}$$

მართლაც (2.10)-ის თანახმად, როცა $i = 1$, (2.19)-ის სამართლიანობა ცხადია. დავუშვათ (2.19) სამართლიანია $i = i_0 \epsilon \{1, \dots, l-1\}$-თვის. მაშინ თუ ვისარგებლებთ ლოპიტალის წესით, გვექნება:

$$\lim_{l\to+\infty}\frac{u^{(l-i_0-1)}(t)}{t^{i_0}} = \frac{1}{i_0}\lim_{t\to+\infty}\frac{u^{(l-i_0)}(t)}{t^{i_0-1}} = +\infty.$$

მაშასადამე (2.19) სამართლიანია ნებისმიერი $i \in \{1, \dots, l\}$-თვის. ამრიგად (2.19) და (2.18)-ის თანახმად, არსებობს ისეთი $\alpha_l \geq \dots \geq \alpha_1$, რომ $r_i(\alpha_i) > 0$ $(i = 1, \dots, l-1)$. რადგან $r_1(t) = t\,u^l(t) > 0$ და $r'_{i+1}(t) = r_i(t)$, როცა $t > t_0$, $(i = 1, \dots, l-1)$ ცხადია, რომ $r_i(t) > 0$ როცა $t \geq \alpha_{i_0}$. ანალოგიურად, (2.10)-ის თანახმად ჩვენ გვაქვს $\gamma_i(t) \to +\infty$ როცა $t \to +\infty$ და $\gamma'_{I+1}(t) = \gamma_i(t)$. მაშასადამე $\gamma_i(t) \to +\infty$, როცა $t \to +\infty$, $i = (1, \dots, l)$.

ამრიგად (2.17) და (2.18) ძალით ჩვენ მივიღებთ (2.11_l). მეორეს მხრივ (2.17)-ის თანახმად დიდი t -სთვის გვაქვს

$$iu^{(l-i)}(t) \geq t\,u^{(l-1)}(t) \quad (i = 1, \dots, l).$$

ამრიგად სამართლიანია (2.9) შეფასება.

ახლა ვაჩვენოთ (2.6) უტოლობის სამართლიანობა. მართლაც, თუ (2.8) პირობა არ სრულდება, მაშინ ცხადია (2.6) პირობა სრულდება. ამიტომ ვიგულისხმოთ, რომ სრულდება (2.8) პირობა. თუ მივიღებთ მხედველობაში (2.1_ℓ) და (2.8)-ს, $(2.15_{\ell-1\,n})$-დან გამომდინარეობს, რომ არსებობს ისეთი $t_1 > t_0$, რომ

$$\frac{1}{(n-\ell)!}\int_{t_1}^{t} s^{n-\ell}\left|u^{(n)}(s)\right|ds \leq u^{(\ell-1)}(t) - t\,u^{(\ell)}(t) \quad \text{როცა}\, t \geq t_1 .$$

ამიტომ $(2.11_{\ell-1})$-ის თანახმად გვაქვს

$$\frac{1}{(n-\ell)!}\int_{t_1}^{+\infty} s^{-2}\int_{t_1}^{s}\xi^{n-\ell}\left|u^{(n)}(\xi)\right|d\xi\,ds \leq -\int_{-t_1}^{+\infty}\left(\frac{u^{(\ell-1)}(s)}{s}\right)' ds < +\infty.$$

ამრიგად, სრულდება (2.6) უტოლობა, რაც ამტკიცებს მოცემული ლემის სამართლიანობას.

ლემა 2.3. ვთქვათ $n \ge 2$, $\ell \in \{1,\dots,n-1\}$, $u_0 \in \widetilde{C}_{loc}^{n-1}([t_0,+\infty))$. მაშინ ადგილი აქვს შემდეგ ტოლობებს

$$u_i^{(\ell)}(t) = (-1)^i t^i u_0^{(\ell+i)}(t) \qquad (i = 1,\dots,n-\ell), \tag{2.20}$$

სადაც

$$u_i(t) = (\ell+i-1)u_{i-1}(t) - t\, u_{i-1}'(t) \qquad (i = 1,\dots,n-\ell). \tag{2.21}$$

დამტკიცება. როცა $i = 1$, (2.20) ტოლობა ცხადია. დავუშვათ ეხლა, რომ (2.20) სამართლიანია რომელიმე i-თვის $(1 \le i < n-\ell)$ და ვაჩვენოთ, რომ (2.20) ტოლობა სამართლიანი იქნება $i+1$-თვის. მართლაც, (2.21)-ის თანახმად, გვაქვს

$$\begin{aligned} u_{i+1}^{(\ell)}(t) &= \big((\ell+i)u_i(t) - t u_i'(t)\big)^{(\ell)} = i\, u_i^{(\ell)}(t) - t\, u_i^{(\ell+1)}(t) = \\ &= (-1)^i\, i\, t^i\, u_0^{(\ell+i)}(t) - ((-1)^i\, t^i\, u_0^{(\ell+i)}(t))' = \\ &= i\,(-1)^i\, t^i\, u_0^{(\ell+i)}(t) - (-1)^i\, t\big(i\, t^{i-1}\, u_0^{(\ell+i)}(t) + t^i\, u_0^{(\ell+i+1)}(t)\big) = \\ &= (-1)^{i+1}\, t^{i+1}\, u_0^{(\ell+i+1)}(t). \end{aligned}$$

ამრიგად, (2.20) სამართლიანია ნებისმიერი $i \in \{1,\dots,n-\ell\}$-თვის.

ლემა 2.4. ვთქვათ $t_0 \in [0+\infty)$, $u_0 \in \widetilde{C}_{loc}^{n-1}([t_0,+\infty))$ და ნებისმიერი $\ell \in \{1,\dots,n-1\}$, სადაც $\ell + n$ კენტია ($\ell + n$ ლუწია) სრულდება (2.1_ℓ) და (2.8) პირობები. მაშინ არსებობს ისეთი $t_* > t_0$, რომ

$$u(t) \ge \frac{t^\ell}{(\ell-1)!\,(n-\ell-1)!} \int_t^{+\infty} s^{-n}(s-t)^{n-\ell-1} \int_{t_*}^{s} (s-\xi)^{\ell-1} \left|u^{(n)}(\xi)\right| d\xi\, ds \quad \text{როცა} \quad t \ge t_*. \tag{2.22}$$

დამტკიცება. (2.1_ℓ) და (2.7)-ის თანახმად

$$u(t) \ge \frac{1}{(\ell-1)!\,(n-\ell-1)!} \int_{t_0}^{t} (t-s)^{\ell-1} \int_{s}^{+\infty} (\xi-s)^{n-\ell-1} \left|u^{(n)}(\xi)\right| d\xi\, ds \quad \text{როცა} \quad t \ge t_0. \tag{2. 23}$$

აღვნიშნოთ

$$u_0(t) = \frac{t^\ell}{(\ell-1)!\,(n-\ell-1)!} \int_t^{+\infty} s^{-n}(s-t)^{n-\ell-1} \int_{t_0}^{s} (s-\xi)^{\ell-1} \xi^{\,n-\ell} \left|u^{(n)}(\xi)\right| d\xi\, ds. \tag{2.24}$$

(2.6)-ის თანახმად, ცხადია, რომ (2.24) ტოლობის მარჯვენა მხარეში მოცემული ინტეგრალი არსებობს და სრულდება (2.21) ტოლობა, სადაც

$$u_i(t)=\frac{t^{\ell+i}}{(\ell-1)!\,(n-\ell-i-1)!}\int_t^{+\infty}s^{-n}(s-t)^{n-\ell-i-1}\int_{t_0}^{s}(s-\xi)^{\ell-1}\xi^{\,n-\ell}\left|u^{(n)}(\xi)\right|d\xi\,ds$$

$$(i=0,\dots,n-\ell-1), \tag{2.25}$$

$$u_{n-\ell}(t)=\frac{1}{(\ell-1)!}\int_{t_0}^{t}(t-s)^{\ell-1}s^{\,n-\ell}\left|u^{(n)}(s)\right|ds.$$

მაშასადამე, 2.3 ლემის თანახმად გვაქვს

$$(-1)^{n+\ell}u_0^{(n)}(t)=\left|u^{(n)}(t)\right| \text{ როცა } \quad t\ge t_0\,, \tag{2.26}$$

სადაც $\ell+n$ კენტია ($\ell+n$ ლუწია), (2.24), (2.26) და ლემა 2.1-ის თანახმად, არსებობს $\ell'\in\{0,\dots,n-1\}$, სადაც $\ell'+n$ კენტია ($\ell'+n$ ლუწია) ისეთი, რომ

$$u_0^{(i)}(t)>0 \quad (i=0,\dots,\ell'),$$

$$(-1)^{n+\ell'}u_0^{(i)}(t)>0 \quad (i=\ell',\dots,n-1) \text{ როცა } \quad t\ge t_0\,. \qquad (2.27_{\ell'})$$

ცხადია, რომ $\ell+\ell'$ არის ლუწი რიცხვი. ეხლა ვაჩვენოთ, რომ არსებობს ისეთი $t_*>t_0$, რომ

$$t^{\ell-1}\le u_0(t)\le t^{\ell} \text{ როცა } \quad t\ge t_*\,. \qquad 2.28)$$

(2.24) და (2.6)-ის თანახმად ცხადია, რომ საკმარისად დიდი t-თვის $u_0(t)\le t^{\ell}$. მეორეს მხრივ (2.8)-ის თანახმად, არსებობს ისეთი $t_1>t_0$, რომ

$$\int_{t_0}^{t_1}s^{n-\ell}\left|u^{(n)}(s)\right|ds=c>(\ell-1)!\,(n-\ell-1)!\,2^{n-1}.$$

ამიტომ (2.24)-დან გვაქვს

$$u_0(t)=\frac{t^{\ell}}{(\ell-1)!\,(n-\ell-1)!}\int_{2t}^{+\infty}(s-t)^{n-\ell-1}s^{-n-1+\ell}\int_{t_0}^{s}\left(1-\frac{\xi}{s}\right)^{\ell-1}\xi^{\,n-\ell}\left|u^{(n)}(\xi)\right|d\xi\,ds\ge$$

$$\ge\frac{t^{\ell}}{(\ell-1)!\,(n-\ell-1)!}\int_{2t}^{+\infty}(s-t)^{n-\ell-1}s^{-n-1+\ell}\int_{t_0}^{t_1}\left(1-\frac{\xi}{s}\right)^{\ell-1}\xi^{\,n-\ell}\left|u^{(n)}(\xi)\right|d\xi\,ds$$

რადგან $\left(1-\dfrac{\xi}{s}\right) \geq \dfrac{1}{2}$ როცა $t_0 \leq \xi \leq t_1$ და $s \geq 2t_1$. ამიტომ უკანასკნელი უტოლობიდან მივიღებთ

$$u_0(t) \geq \frac{t^{\ell}}{2^{\ell-1}(\ell-1)!\,(n-\ell-1)!}\int_{t_0}^{t_1}\xi^{n-\ell}\left|u^{(n)}(\xi)\right|d\xi\int_{2t}^{+\infty}(s-t)^{n-\ell-1}s^{\ell-n-1}ds \geq$$

$$\geq \frac{ct^{\ell}}{2^{\ell-1}(\ell-1)!\,(n-\ell-1)!}\int_{2t}^{+\infty}\left(1-\frac{t}{s}\right)^{n-\ell-1}s^{-2}ds \geq \frac{ct^{\ell}}{2^{\ell-2}(\ell-1)!\,(n-\ell-1)!}\int_{2t}^{+\infty}s^{-2}ds =$$

$$= \frac{ct^{\ell}}{2^{n-2}(\ell-1)!\,(n-\ell-1)!}\cdot\frac{1}{2t} = \frac{ct^{\ell-1}}{2^{n-1}(\ell-1)!\,(n-\ell-1)!} > t^{\ell-1} \text{როცა}\, t \geq t_1.$$

მაშასადამე, საკმარისად დიდი t-სთვის სრულდება (2.28) უტოლობა. მეორეს მხრივ (2.1_{ℓ})და ($2.27_{\ell'}$)-დან თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ $\ell+\ell'$ ლუწია, გამომდინარეობს, რომ $\ell=\ell'$
.

ვაჩვენოთ, რომ

$$\lim_{t\to+\infty} t^i u_0^{(\ell+i)}(t) = 0 \quad (i = 0,\ldots,n-\ell-1). \tag{2.29}$$

მართლაც, თუ გამოვიყენებთ (2.25)-ს გვექნება

$$\begin{aligned} u_i^{(\ell)}(t) = {} & \frac{1}{(\ell-1)!\,(n-\ell-i-1)!}\sum_{j=0}^{\ell}C_{\ell}^{j}\left(t^{\ell+i}\right)^{(\ell-j)}\cdot \\ & \cdot\left(\int_t^{+\infty}s^{-n}(s-t)^{n-\ell-i-1}\int_{t_0}^{s}(s-\xi)^{\ell-i}\xi^{n-\ell}\left|u^{(n)}(\xi)\right|d\xi\,ds\right)^{(j)}. \end{aligned} \tag{2.30}$$

ვთქვათ $j \leq n-\ell-i-1$. მაშინ (2.6)-ის თანახმად მივიღებთ

$$\rho_{ji}(t)=\left(t^{\ell+i}\right)^{(\ell-j)}\left|\left(\int_t^{+\infty}s^{-n}(s-t)^{n-\ell-i-1}\int_{t_0}^{s}(s-\xi)^{\ell-1}\xi^{\,n-\ell}\left|u^{(n)}(\xi)\right|d\xi\,ds\right)^{(j)}\right|\leq$$

$$\leq(\ell+i)!\,(n-\ell-i-1)!t^{i+j}\int_t^{+\infty}s^{-n}(s-t)^{n-\ell-i-j-1}\int_{t_0}^{s}(s-\xi)^{\ell-1}\xi^{\,n-\ell}\left|u^{(n)}(\xi)\right|d\xi\,ds\leq$$

$$\leq(\ell+i)!\,(n-\ell-i-1)!t^{j+i}\int_t^{+\infty}s^{-i-j-2}\int_{t_0}^{s}\xi^{\,n-\ell}\left|u^{(n)}(\xi)\right|d\xi\,ds\leq$$

$$\leq(\ell+i)!\,(n-\ell-i-1)!\int_t^{+\infty}s^{-2}\int_{t_0}^{s}\xi^{\,n-2}\left|u^{(n)}(\xi)\right|d\xi\,ds.$$

აქედან (2.6)-ის თანახმად გვაქვს

$$\rho_{ji}(t)\to 0\ \text{როცა}\ t\to+\infty\quad (i=0,\ldots,n-\ell-i-1).$$

ვთქვათ $j\leq n-\ell-i-1$. მაშინ გვაქვს

$$\rho_{ji}(t)\leq(\ell+i)!\,(n-\ell-i-1)!t^{i+j}\left(t^{-n}\int_{t_0}^{t}(t-\xi)^{\ell-1}\xi^{\,n-\ell}\left|u^{(n)}(\xi)\right|d\xi\right)^{(j+i+\ell-n)}=$$

$$=(\ell+i)!\,(n-\ell-i-1)!\,t^{i+j}\sum_{k=0}^{j+i+\ell-n}C^k_{j+i+\ell-n}(t^{-n})^{(j+i+\ell-k)}\times \tag{2.31}$$

$$\times\left(\int_{t_0}^{t}(t-\xi)^{\ell-1}\xi^{\,n-\ell}\left|u^{(n)}(\xi)\right|d\xi\right)^{(k)}.$$

მეორეს მხრივ (2.5)-ის თანახმად

$$t^{i+j}\left|(t^{-n})^{(j+i+\ell-k)}\left(\int_{t_0}^{t}(t-s)^{\ell-1}\xi^{\,n-\ell}\left|u^{(n)}(\xi)\right|d\xi\right)^{(k)}\right|\leq$$

$$\leq n!\,t^{i+j}\,t^{-j-i-\ell+k}\int_{t_0}^{t}(t-\xi)^{\ell-k-1}\xi^{\,n-\ell}\left|u^{(n)}(\xi)\right|d\xi\leq$$

$$\leq n!\,(\ell-1)!\,t^{-1}\int_{t_0}^{t}\xi^{\,n-\ell}\left|u^{(n)}(\xi)\right|d\xi\to 0$$

როცა $t\to+\infty$ ($j=n-\ell-i,\ldots,\ell$). ამიტომ (2.31)-ის ძალით გვაქვს

$$\rho_{ji}(t)\to 0\ \text{როცა}\ \ t\to+\infty\quad (i=n-\ell-i,\ldots,\ell).$$

რაც ამტკიცებს (2.29) პირობის სამართლიანობას.

მაშასადამე, (2.29)-ის თანახმად

$$u_0^{(\ell)}(t) = \frac{1}{(n-\ell-1)!}\int_t^{+\infty}(s-t)^{n-\ell-i}\left|u^{(n)}(s)\right|ds \text{ როცა } t \ge t_0 .$$

მოცემული ტოლობიდან მივიღებთ

$$u_0(t) = \sum_{\ell=0}^{\ell-1}\frac{(t-t_0)^i}{i!}u_0^{(i)}(t_0) + \\ +\frac{1}{(\ell-1)!\,(n-\ell-1)!}\int_{t_0}^{t}(t-s)^{\ell-1}\int_s^{+\infty}(\xi-s)^{n-\ell-i}\left|u^{(n)}(\xi)\right|d\xi\, ds$$

როცა $t \ge t_0$.

ამრიგად, თუ მხედველობაში მივიღებთ (2.23) და (2.24)-ს გვექნება

$$u(t) \ge \frac{t^\ell}{(\ell-1)!\,(n-\ell-1)!}\int_t^{+\infty}s^{-n}(s-t)^{n-\ell-1}\int_{t_0}^{s}(s-\xi)^{\ell-1}\xi^{n-\ell}\left|u^{(n)}(\xi)\right|d\xi\, ds - c\,t^{\ell-1}, \tag{2.31}$$

სადაც $c = \sum_{\ell=0}^{\ell-1}\frac{u_0^{(i)}(t_0)}{i!}$.

(2.8)-ის თანახმად, არსებობს ისეთი $t_i > t_0$, რომ

$$\int_{t_0}^{t_1}s^{n-\ell}\left|u^{(n)}(s)\right|ds > 2^{n-1}(\ell-1)!\,(n-\ell-1)!\,c.$$

ამიტომ (2.31)-ის თანახმად მივიღებთ

$$
\begin{aligned}
u(t) \geq {} & \frac{t^{\ell}}{(\ell-1)!\,(n-\ell-1)!}\int_{t}^{+\infty} s^{-n}(s-t)^{n-\ell-1}\times \\
& \times\left(\int_{t_0}^{t_1}(s-\xi)^{\ell-1}\xi^{n-\ell}\left|u^{(n)}(\xi)\right|d\xi+\int_{t_1}^{s}(s-\xi)^{\ell-1}\xi^{n-\ell}\left|u^{(n)}(\xi)\right|d\xi\right)ds-c\,t^{\ell-1}\geq \\
& \geq \frac{t^{\ell}}{(\ell-1)!\,(n-\ell-1)!}\int_{t}^{+\infty} s^{-n}(s-t)^{n-\ell-1}\int_{t_1}^{s}(s-\xi)^{\ell-1}\xi^{n-\ell}\left|u^{(n)}(\xi)\right|d\xi\,ds+ \\
& +\frac{t^{\ell}}{(\ell-1)!\,(n-\ell-1)!}\int_{2t}^{+\infty} s^{-n+\ell-1}(s-t)^{n-\ell-1}\cdot\int_{t_0}^{t_1}\left(1-\frac{\xi}{s}\right)^{\ell-1}\xi^{n-\ell}\left|u^{(n)}(\xi)\right|d\xi\,ds-c\,t^{\ell-1}\geq \\
& \geq \frac{t^{\ell}}{(\ell-1)!\,(n-\ell-1)!}\int_{t}^{+\infty} s^{-n}(s-t)^{n-\ell-1}\int_{t_1}^{s}(s-\xi)^{\ell-1}\xi^{n-\ell}\left|u^{(n)}(\xi)\right|d\xi\,ds,
\end{aligned}
$$

რაც ამტკიცებს ლემის სამართლიანობას.

3. მონოტონური ამონახსნების არსებობის აუცილებელი პირობები

ამ პარაგრაფში მიღებული იქნება (2.1_{ℓ}) ტიპის ამონახსნების არსებობის აუცილებელი პირობები, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ მომდევნო პარაგრაფში დადგენილი იყოს საკმარისი პირობები იმისა, რომ (1.1) განტოლებას გააჩნდეს A ან B თვისება.

ქვემოთ ყველგან იგულისხმება, რომ სრულდება შემდეგი უტოლობა

$$
\left|F(u)(t)\right|\geq\sum_{i=1}^{m}\int_{\tau_i(t)}^{\sigma_i(t)}\left|u(s)\right|^{\mu(s)}d_s\,r_i(s,t) \text{ როცა } t\geq t_0,\ u\in H_{t_0,\tau}, \tag{3.1}
$$

($H_{t_0,\tau}$ სიმრავლის განმარტება იხ. მე-3 გვერდზე), სადაც

$$
0<\mu(t)\leq 1,\quad \mu_{\mathrm{j}},\tau_{\mathrm{i}},\sigma_{\mathrm{i}}\in(R_+;R_+),\quad \tau_i(t)\leq\sigma_{\mathrm{i}}(t) \text{ როცა } t\in R_+, \tag{3.2}
$$

$\lim\limits_{t\to+\infty}\tau(t)=+\infty,\ r_i:R_+\times R_+\to R_+$ არის უწყვეტი t-ს მიმართ და არაკლებადი s-ის მიმართ $(i=1,\ldots,m)$.

მოცემულ შრომაში ქვემოთ ყველგან ვისარგებლებთ შემდეგი აღნიშვნებით:

ვთქვათ $t_0 \in R_+$, $\ell \in \{1,\dots,n-1\}$. U_{ℓ,t_0} -ით აღვნიშნავთ (1.1) განტოლების ამონახსნთა სიმრავლეს, რომლებიც აკმაყოფილებენ (2.1 $_\ell$) პირობას

$$\Delta_{\ell,u} = \left\{ \lambda \mid \lambda \in [\ell-1,\ell], \liminf_{t\to+\infty} \frac{u(t)}{t^\lambda} = 0 \right\}, \quad u \in U_{\ell,t_0}; \tag{3.3}$$

$$\overline{\sigma}(t) = \max\{\max(s,\sigma_1(s),\dots,\sigma_m(s)) : 0 \le s \le t\}; \tag{3.4}$$

$$h_{1\varepsilon}(t) = \begin{cases} 0 \text{ roca} & \lambda = \ell, \\ \varepsilon \text{ roca} & \lambda \in [\ell-1,\ell), \end{cases} \qquad h_{2\varepsilon}(t) = \begin{cases} 0 \text{ roca} & \lambda = \ell-1, \\ \varepsilon \text{ roca} & \lambda \in (\ell-1,\ell], \end{cases} \tag{3.5}$$
$$h_\varepsilon(\lambda) = h_{1\varepsilon}(\lambda) + h_{2\varepsilon}(\lambda).$$

შენიშვნა 3.1. $\Lambda_{\ell,u}$ სიმრავლის განმარტების შემთხვევაში, თუ არ არსებობს $\lambda \in [\ell-1,\ell]$, რომლისთვისაც სრულდება პირობა $\liminf\limits_{t\to+\infty} t^{-\lambda} u(t) = 0$, მაშინ იგულისხმება რომ $\Lambda_{\ell,u} = \varnothing$.

თეორემა 3.1. ვთქვათ $F \in V_\tau$, სრულდება (), (), (3.1), (3.2) პირობები, $\ell \in \{1,\dots,n-1\}$, სადაც $\ell + n$ კენტია ($\ell + n$ ლუწია),

$$\int_0^{+\infty} t^{n-\ell} \sum_{i=1}^m \int_{\tau_i(t)}^{\sigma_i(t)} s^{(\ell-1)\mu(s)} d_s\, r_i(s,t) = +\infty, \tag{3.6 $_\ell$}$$

$$\int_0^{+\infty} t^{n-\ell-1} \sum_{i=1}^m \int_{\tau_i(t)}^{\sigma_i(t)} s^{\ell\,\mu(s)} d_s\, r_i(s,t) = +\infty, \tag{3.7 $_\ell$}$$

$$\liminf_{t\to+\infty} \mu(t) = \mu_0 > 0. \tag{3.8}$$

გარდა ამისა, რომელიმე $t_0 \in R_+$ -თვის $U_{\ell,t_0} = \varnothing$, მაშინ არსებობს ისეთი $\lambda_0 \in [\ell-1,\ell]$, რომ

$$\limsup_{\varepsilon\to0} \left(\liminf_{t\to+\infty} g_\ell(t,\lambda_0,\varepsilon) \right) \le (\ell-1)!\,(n-\ell-1)!, \tag{3.9}$$

სადაც

$$g_\ell(t,\lambda_0,\varepsilon) = t^{\ell-\lambda_0+h_{2\varepsilon}(\lambda_0)} \int_t^{+\infty} s^{-n}(s-t)^{n-\ell-1} \left(\overline{\sigma}(s)\right)^{-h_\varepsilon(\lambda_0)} \int_{t_0}^{s} (s-\xi)^{\ell-1} \xi^{n-\ell} \times$$
$$\times \sum_{i=1}^m \int_{\tau_i(\xi)}^{\sigma_i(\xi)} \xi_1^{(\lambda_0+h_{2\varepsilon}(\lambda_0))}. \tag{3.10}$$

დამტკიცება. ვთქვათ $t_0 \in R_+$ და $U_{\ell,t_0} = \varnothing$. U_{ℓ,t_0} სიმრავლის განმარტების თანახმად (1.1) განტოლებას გააჩნია $u \in U_{\ell,t_0}$ ამონახსნი, რომელიც აკმაყოფილებს (2.1_ℓ) პირობას. (2.1_ℓ) და (3.1)-ის თანახმად ცხადია სრულდება (2.6_ℓ) პირობა. მართლაც, (2.1_ℓ)-ის თანახმად არსებობს ისეთი $t_1 \geq t_0$ და $c \in (0,1]$, რომ

$$u(t) \geq c t^{\ell-1} \text{როცა}\, t \geq t_1.$$

ამიტომ

$$(-1)^{n+\ell} u^{(n)} t \geq \sum_{i=1}^{m} \int_{\tau_i(t)}^{\sigma_i(t)} \sum_{i=1}^{m} c^{\mu(s)} s^{(\ell-1)\mu(s)} d\, r_i(s,t),$$

სადაც $\ell + n$ კენტია $\ell + n$ ლუწია). მოცემულ უტოლობას თუ გავამრავლებთ $t^{\ell-1}$-ზე და გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ $(-1)^{n+\ell} u^{(n)}(t) \geq 0$, მივიღებთ

$$\int_{t_1}^{t} s^{n-\ell} \,|\, u^{(n)}(s) \,|\, ds \geq c \int_{t_1}^{t} s^{n-\ell} \sum_{\tau_i(s)}^{\sigma_i(s)} \xi^{(\ell-1)\mu(\xi)} d_\xi\, r_i(\xi, s)\, ds.$$

საიდანაც (3.6_ℓ)-ის თანახმად გვაქვს

$$\int_{t_1}^{+\infty} s^{n-\ell} \,|\, u^{(n)}(s) \,|\, ds = +\infty.$$

ე.ი. სრულდება (2.6) პირობა. ამიტომ 2.2 ლემის თანახმად არსებობს ისეთი $c_0 \geq 0$, რომ

$$\frac{u(t)}{t^\ell} \downarrow c_0 \quad \text{როცა} \quad t \uparrow +\infty.$$

ვაჩვენოთ, რომ $c_0 = 0$. მართლაც, დავუშვათ საწინააღმდეგო. ვთქვათ $c_0 > 0$. მაშინ არსებობს ისეთი $t_2 > t_1$, რომ

$$u(t) \geq c_0 t^\ell \;\text{როცა}\quad t \geq t_2.$$

ამიტომ (3.1) და (2.1_ℓ)-ის თანახმად (1.1)-დან მივიღებთ

$$\int_{t_2}^{+\infty} t^{n-\ell-1} \sum_{i=1}^{m} \int_{\tau_i(t)}^{\sigma_i(t)} s^{\ell\mu(s)} d_s\, r_i(s,t) = +\infty,$$

რაც ეწინააღმდეგება (2.6) პირობას. მიღებული წინააღმდეგობა ამტკიცებს, რომ

$$\frac{u(t)}{t^{\ell}} \downarrow 0 \text{ როცა } \quad t \uparrow +\infty. \tag{3.11}$$

2.4 ლემის თანახმად არსებობს ისეთი $t_* > t_1$, რომ

$$u(t) \geq \frac{t^{\ell}}{(\ell-1)!\,(n-\ell-1)!} \times \\ \times \int_t^{+\infty} s^{-n}(s-t)^{n-\ell-1} \int_{t_*}^{s} (s-\xi)^{\ell-1} \xi^{n-\ell} \sum_{i=1}^{m} \int_{\tau_i(\xi)}^{\sigma_i(\xi)} |u(\xi_1)|^{\mu(\xi_1)} d_{\xi_1} r_i(\xi_1,\xi) d\xi\, ds. \tag{3.12$_\ell$}$$

მეორეს მხრივ

$$\lim_{t\to+\infty} \frac{u(t)}{t^{\ell-1}} = +\infty, \qquad \lim_{t\to+\infty} \frac{u(t)}{t^{\ell}} = 0. \tag{3.13}$$

აღვნიშნოთ $\Lambda_{\ell,u}$ -ით ის $\lambda \in [\ell-1,\ell]$ სიმრავლე, რომელთათვისაც სრულდება პირობა

$$\liminf_{t\to+\infty} \frac{u(t)}{t^{\lambda}} = 0. \tag{3.14}$$

(3.13)-ის თანახმად ცხადია რომ $\Lambda_{\ell,u} \neq \varnothing$ და $\lambda_0 \in [\ell-1,\ell]$, სადაც $\lambda_0 = \inf \Lambda_{\ell,u}$. ამიტომ $\Lambda_{\ell,u} \in [\ell-1,\ell]$. (3.14)-ის ძალით გვაქვს

$$\liminf_{t\to+\infty} \frac{u(t)}{t^{\lambda_0+h_{1\varepsilon}(\lambda_0)}} = 0, \qquad \liminf_{t\to+\infty} \frac{u(t)}{t^{\lambda_0-h_{2\varepsilon}(\lambda_0)}} = +\infty. \tag{3.15}$$

აღვნიშნოთ

$$\varphi(t) = \left(\frac{u(t)}{t^{\lambda_0+h_{1\varepsilon}(\lambda_0)}}\right)^{\mu(t)} \tag{3.16}$$

და

$$\widetilde{\varphi}(t) = \min\{\varphi(s) : t_* \leq s \leq t\}. \tag{3.17}$$

(3.8) და (3.15)-ის თანახმად ცხადია, რომ

$$\liminf_{t\to+\infty} \left(\frac{u(t)}{t^{\lambda_0+h_{1\varepsilon}(\lambda_0)}}\right)^{\mu(t)} = 0. \tag{3.18}$$

მართლაც, (3.8)-ის თანახმად არსებობს $\mu_1 > 0$ და $t_2 > t_1$ ისეთი, რომ $\mu(t) \geq \mu_1$ როცა $t \geq t_2$. ამიტომ (3.15)-ის პირველი პირობის თანახმად არსებობს $\{t_k\}$ წერტილთა მიმდევრობა ისეთი, რომ $\lim\limits_{t\to+\infty} t_k = +\infty$ და

$$\lim_{t\to+\infty} \frac{u(t)}{t_k^{\lambda_0 + h_{1\varepsilon}(\lambda_0)}} = 0.$$

ამიტომ საკმარისად დიდი k -თვის გვაქვს

